ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია.

პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

25 თებერვალი 1918 წ.

ფასი 50 კაპ.

ახალი ყვალი

ყოველ-კვირეული სამეცნიერო საპოლიტ. და სალიტერ. ჟურნალი.

№ 6 ორგანო ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებისა. № 6

რედაქციისაგან: პროვინციელ ამხანაგებს ვსთხოვთ ჟურნალის ფულის გამოგზავნა დააჩქარონ, შემდეგი მისამართით: Тифлисъ. Головинскій пр. № 12, редакція „Ахали Квали", Бидзинѣ Рамишвили. სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

შინაარსი: 1) ჩვენი სეიმი და ზავი.—მ. ხუნდაძე. 2) ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა.—ა. ი. 3. *** (ლექსი).—გენო. 4) ქალთა კითხვის შესახებ.—არ. მექანარიშვილი. 5) სადღეისო შენიშვნები. 2. ჩვენი დროის უტოპისტები.—ვ. ნიკურაძე. 6) კოოპერაცია და ქართველი სოც.-ფედერალისტები.—ს. მიხელიძე. 7) წესდება ამიერ-კავკასიის ახალ-გაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციისა.—8) ამ.-კავკ. ახალგ. მარქს. კონფერენცია. (მოხსენებები ადგილებიდან).

13315

მეორე სათათბიროს ს.-დ დეპუტატები.

შუაში: ირ. წერეთელი; მარჯვნით: არ ჯაფარიძე; მარცხნით: სევ. ჯუღელი; ზევით: გერ. მახარაძე, ჭ. ლომთათიძე; ქვევით: კ. კანდელაკი, ნ. კაციაშვილი.

ჩვენი სეიმი და ზავი.

რუსეთის რევოლიუციამ თავის დაწყებისათანავე კაცობრიობის წინაშე წამოაყენა ერთი უკეთილშობილესი ლოზუნგი—„დემოკრატიული ზავი, უანექსიო, უკონტრიბუციო, ერთა თვითგამორკვევის უფლებით“. ეს ლოზუნგი ციმერვალდის კონფერენციამ წარმოშვა და თავისი არსებით სოციალისტურ ინტერნაციონალის შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც რუსეთის სახელმწიფოს მართვა-გამგეობა ფაქტიურათ სოციალისტურ დემოკრატიის ხელში გადავიდა, დემოკრატიულ ზავის პრინციპები საფუძვლათ დაედვა რუსეთის ახალ საგარეო პოლიტიკას.

რასაკვირველია ამ პრინციპების ცხოვრებაში გატარება მეტათ ძნელი საქმე იყო. ამას ყველა გრძნობდა. ამ ისტორიულ როლს მარტო რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატია ვერ შეასრულებდა. დემოკრატიული ზავის განსახორციელებლათ საჭირო იყო მეომარ სახელმწიფოთა პროლეტარიატის დარაზმვა ერთ დროშის ქვეშ და ინტერნაციონალის შეთანხმებული გამოსვლა იმპერიალისტურ პოლიტიკის წინააღმდეგ.

ამ უკანასკნელ პრინციპზე ემყარებოდა ჩვენი პარტიის საგარეო პოლიტის პროგრამა და მას დემოკრატიის დიდი უმრავლესობა მხარს უჭერდა. სტოკჰოლმის კონფერენციის მოწვევა—უმთავრეს საზრუნავ საქმეს შეადგენდა ჩვენთვის. სეპარატიული გამოსვლა, ომის სეპარატიულათ დამთავრება მთლათ დაქსაქსავდა საერთაშორისო პროლეტარიატის ძალებს და ნიადაგს მოუმზადებდა იმპერიალიზმის სრულ გამარჯვებას. ჩვენ ღრმათ გვწამდა, რომ დასავლეთ ევროპის მშრომელი მასა გამოიღვიძებდა და მთელი თავისი ძლევამოსილებით რუსეთის რევოლიუციის მიერ დაწყებულ საქმეს აქტიურ დახმარებას გაუწევდა.

მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ, ჩვენი ოცნება გადაეარბებული ყოფილა და დღეს დღეობით არ შეეფერებოდა სავსებით საერთაშორისო დემოკრატიის ძალას და გავლენას.

დემოკრატიულ ზავის საქმე ძალიან სუსტათ მიდიოდა წინ. იმპერიალიზმი ჯერ კიდევ ძალიან ძლიერი აღმოჩნდა და მისი დამარცხება ადვილი საქმე არ იყო. ომი გრძელდებოდა. ეკონომიურათ დასუსტებული რუსეთი ვეღარ იტანდა ამ გარემოებას. ჯარი დაიქანცა და ბრძოლის უნარი გაუქარწყლდა. ხალხის უკმაყოფილება თანდათან ღრმავდებოდა და სწორეთ ამ მიზეზის გამო ბალშევიკების აგიტაციას ფართო ასპარეზი გადაეშალა ისინი ხალხს დაუყოვნებლივ ზავს დაპირდენ. ხალხ-ც, უმთავრესათ დატანჯული ჯარი, თან გაყვა მათ. და აი ოქტომბრიდან დაწყებული რუსეთს ლენინი და მისი თანამოაზრეები განაგებენ. ოქტომბრის აჯანყება ლენინელებმა აღიარეს სოციალისტურ რევოლიუციის დასაწყისათ. ახალი მთავრობა შეუდგა ეკონომიურ და სოციალურ წესწყობილების ძირიანათ გარდაქმნას. მაგრამ უკულტურო, კაპიტალისტურათ განუვითარებელმა რუსეთმა ლენინის „დეკრეტომანია“ ვერ მოინელა: რამოდენიმე პროვინცია, როგორც უკრაინა, ციმბირი, დონი, ყირიმი სრულიად ჩამოშორდა მას და თავის საკუთარ პოლიტიკურ გზას დაადგა. ამ გარემოებამ გააღრმავა სამოქალაქო ომი, ბალშევიკებმა ომი გამოუცხადეს უკრაინას, ციმბირს, დონს. მთელი რუსეთი—ძმათა შორის სისხლის ღვრის ასპარეზათ გადაიქცა.

აი ამ პირობებში შეუდგა ლენინი საზავო მოლაპარაკებას სეპარატიულათ გერმანიის... იმპერიალისტებთან. ბავშვისათვისაც ნათელი იყო, რომ ასეთი მოლაპარაკება რუსეთის სრული კაპიტულიაციით უნდა დათავებულიყო. ასეც მოხდა. დღეს მთელი დემოკრატიული რუსეთი გერმანელ იმპერიალისტების ანაბარა დარჩა.

იმ საზავო ხელშეკრულობაში, რომლსაც ბალშევიკები თანახმა არიან ხელი მოაწერონ, სხვათა შორის გამოტოვებულია ამიერ-კავკასია. *) რას უქადის ზავი ჩვენს პატარა ქვეყანას, რა პირობებში ვიმყოფებით დღეს ჩვენ ბალშევიკების ზავის თანახმათ—ჩვენთვის სრულიად გაუგებარია.

ცხადია ჩვენზე არავინ არ ზრუნავს და ჩვენ საქმეს ჩვენ თვითონ უნდა უპატრონოთ. აი ამიტომ ბუნებრივი და აუცილებელია ის ნაბიჯი, რომელიც გადადგა ამიერ-კავკასიის სეიმმა 16 თებერვლის სხდომაზე. სეიმმა, ჩვენი დემოკრატიის უზენაეს ორგანომ, გადასწყვიტა დაუყოვნებლივ ჩამოაგდოს ზავი ოსმალეთთან, მით უმეტეს, რომ ოტტო-

---

*) ეს წერილი დაწერილია უკანასკნელ დეპეშების მიღებამდე.

მანთა იმპერიის მთავრობამ თვით გამოსთქვა სურვილი ზავისადმი.

ჩვენ სეიმში სხვა და სხვა პოლიტიკური პარტიები იმყოფებიან, მათი პოლიტიკური ფიზიონომია სულ სხვა და სხვა ნაირია. მაგრამ საბედისწერო ჟამს, როდესაც წყდება კითხვა ამიერ-კავკასიის ყოფნა არ ყოფნის შესახებ, როდესაც ჩვენ საზღვრებს თანდათან უახლოვდება ოსმალეთის ჯარები, შიგნით კი ანარქია ძლიერდება,—სეიმმა გამონახა საერთო დემოკრატიული ენა. ზავის რეზოლიუციის მიღებაში სეიმმა შესანიშნავი ერთსულოვნობა გამოიჩინა.

რა შინაარსის არის სეიმის საზავო რეზოლიუცია?

უწინარეს ყოვლისა სეიმი აცხადებს, რომ ის თავის თავს კომპეტენტურათ და უფლებამოსილათ სთვლის იმისათვის, რომ დამოუკიდებლათ ჩამოაგდოს ზავი ოსმალეთთან. მეორე მუხლში გამოთქმულია მტკიცე სურვილი **საბოლოო** ზავის ჩამოგდებისადმი. შემდეგ რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ ზავის აუცილებელ პირობას შეადგენს ერთი მხრით 1914 წლის საზღვრების აღდგენა (ე. ი. ის საზღვრების, რომელნიც არსებობდენ რუსეთსა და ოსმალეთს შორის ამ ომის წინ) და, მეორე მხრით, თვითგამორკვევის უფლების მინიჭება აღმოსავლეთ ანატოლიის ერებისათვის და ოსმალეთის სომხეთისთვის, რომელნიც დარჩებიან ოსმალეთის სახელმწიფოს საზღვრებში.

ამგვარია ჩვენი საზავო პირობები. ჩვენ ვეწინააღმდეგებით ყოველგვარ ანექსიებს და კონტრიბუციებს, მასთან ერთათ ჩვენ დაბეჯითებით მოვიოხოვთ იმ ერთა განთავისუფლებას, რომელთანაც ამიერ-კავკასიას პირდაპირი კავშირი აქვს. ჩვენი ზავი საპატიო და დემოკრატიული ზავია. თუ მას ეწინააღმდეგებოდა სეიმის ერთი წევრი, კადეტების წარმომადგენელი, ეს ჩვენთვის, რა თქმა უნდა, გასაგებია, და ეს გარემოება ჩვენ არ შეგვიშლის ხელს. კადეტები დღესაც ოცნებობენ თავიანთ იმპერიალისტურ მიზნების განხორციელებაზე, დღესაც არ ანებებენ თავს კონსტანტინოპოლს. რასაკვირველია, ეს მათი საქმეა. დემოკრატიას კი, მათთან საერთო არაფერი არა აქვს.

პესიმისტები ამბობენ, რომ ჩვენ ვერ მივაღწევთ ჩვენ მიზანს საზავო მოლაპარაკებაში, რომ დღეს ამ საკითხს მხოლოდ რეალური ძალთა განწყობილება სწყვეტს. ოსმალეთი დღეს თავის თავს გამარჯვებულათ სთვლის და ამიტომ ჩვენთვის მისაღებ ზავზე არ დაგვეთანხმებაო.

შესაძლებელია ეს პესიმიზმი არ არის უნიადაგო.

მაგრამ ჩვენ მას არ ვიზიარებთ. ჩვენ გვწამს, რომ ოსმალეთი სრულიად არ არის დაინტერესებული იმაში, რომ ფართო იმპერიალისტური პოლიტიკა აწარმოვოს.

შეიძლება მოკლე ხანში საერთაშორისო ძალთა განწყობილება სრულიად შეიცვალოს, დღეს თუ გერმანია და ოსმალეთი გამარჯვებული არიან, ხვალ ისინი დამარცხებას იგემებენ. ეს შესაძლებელია, ვიმეორებთ, ვინაიდან ომის ბედი ცვალებადია. ამიტომ წამოყენებულ საპატიო ზავის პირობებმა უნდა დააკმაყოფილოს ოსმალეთი.

შემდეგ, ნუ დავივიწყებთ, რომ ამიერ-კავკასიის სეიმის დელეგაციას დიდი მორალური და პოლიტიკური ავტორიტეტი ექნება იმ მხრით, რომ ის გამომხატველი იქნება ამიერ-კავკასიის ყველა ერთა ერთსულოვან ნებისყოფისა. მუსულმანები, ქართველები და სომხები, რომელთა საერთო რიცხვი 8 მილიონს აღწევს, ერთ დროშის ქვეშ არიან გაერთიანებული და შეკავშირებული; ამ ერთსულოვნობას არ შეიძლება, რომ არ გაუწიოს ანგარიში ოსმალეთის პოლიტიკოსებმა.

თუ ამ საგულისხმო გარემოებამ არ გასჭრა, თუ ოსმალეთის მთავრობა, დღევანდელ მდგომარეობით დაბრმავებული, მოინდომებს ჩვენ დამოწავებას, არ დაეთანხმება ჩვენს საზავო პროგრამას და ჩვენს საზღვრებისაკენ გამოილაშქრებს,—მაშინ აღსდგება ჩვენი ქვეყნის დემოკრატია და თავგანწირულ ბრძოლაში წითელი დროშით ხელში შეებმება ძლიერ მტერს თავისუფლების დასაცველათ. იმიტომ კი არ შესწირა ჩვენმა დემოკრატიამ აუარებელი მსხვერპლი რევოლიუციას, რომ მის მიერ მოპოვებული თავისუფლება გარეშე მტერს მუხლმოდრეკით მიუტანოს და თვითონ ისევ ბორკილები დაიდოს. ამას ჩვენ ყველანი კარგათ ვგრძნობთ, და ამიტომ თავისუფლებას არავის არ დაუთმობთ უბრძოლველათ.

ფ. ხუნდაძე.

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა.

——

ჭეშმარიტათ პოლიტიკურ სენსაციების ხანას განვიცდით. ამ ერთი წლის განმავლობაში, როგორც კალეიდესკოპში ფიგურები, ისე იცვლებოდა პოლიტიკური მდგომარეობა და რაც დღე გადის „ისტორიის ირონია“ მით უფრო მეტ ვირტოუზობას იჩენს.

გუშინ ამაზე არავინ ფიქრობდა და თუ ფიქრობდა, მისი აზრები ჯერ გამოურკვეველ ბურუსში იყვნენ გახვეულნი; დღეს კი ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა თითქმის ფაქტია; ასეა თუ ისე სეიმის მენშევიკების ფრაქციამ და ჩვენმა პარტიამ ეს საკითხი დადებითად გადასჭრა.

ზოგი პოლიტიკურ ცხოვრების ასეთ გადახრაში თავის იდეების გამარჯვებას ჰხედავს; ისინი, ვინც თავის პროგრამაში უაღრეს დეცენტრალიზმს, ან სრულს სეპარაციას აღიარებდენ, თავის თავს გამარჯვებულათ სთვლიან: ჩვენი მოლოდინი გამართლდა, ისტორიის ტენდენცია ჩვენ კარგათ გავითვალისწინეთო. ამის შესახებ ოტო ბაუერი თავის წიგნში: „ნაციონალური საკითხი და სოც.-დემოკრატია“ მუშათა კლასიურ ნაციონალურ პოლიტიკის და პროგრამის ზოგად დებულებების განსაზღვრის დროს ამბობს: „ტყუილათ ელის ზოგიერთი მუშათა კლასისაგან კატასტროფების ამ უპასუხისმგებლო პოლიტიკას; ტყუილათ ჭონიათ, რომ პროლეტარიატი თავის იმედებს მონარქიის (ამ შემთხვევაში ავსტრიის შესახებ არის ლაპარაკი.—ა.—ი.) დარღვევას დაუკავშირებს. **მუშათა კლასმა თავისი ნაციონალური პოლიტიკა არსებულ ისტორიულ საფუძველზე უნდა აწარმოვოს**... „ყოველი საღათ მოაზროვნე ადამიანი უნდა სცდილობდეს ნაციონალური განწყობილებანი არსებულ სახელმწიფოებრივ ჩარჩოებში მოაწესრიგოს; არავის უფლება არა აქვს გული გაიკეთოს იმ პერსპექტივით, რომ რომელიმე მსოფლიო—პოლიტიკური კატასტროფა გადასჭრის ნაციონალურ პრობლებას“... (Отто Бауэръ. Нац. вопросъ и соц.-демократія. გვ. 527,6..).

ეს სიტყვები საუკეთესოთ უფარდდება ჩვენს ეხლანდელს მდგომარეობას და ჩვენ ნაციონალურ პოლიტიკის ხაზს ნათელსა ჰფენს. ჩვენ, რასაკვირველია, ჩვენს ნაციონალურ პოლიტიკას და პროგრამას არსებულ სახელმწიფოებრივ მდგომარეობას და მის განვითარების პირდაპირ ტენდენციებს უდებდით საფუძვლათ და არ შეგვეძლო გაგვეთვალისწინებინა თავიდანვე რუსეთის რევოლიუციის შინაგანი დამარცხება; და რომც შეგვძლებოდა ამის გათვალისწინება ყოვლად შეუძლებელი იყო ამისთანა, მუშათა კლასისა და რევოლიუციის დამარცხებაზე დამყარებულ, დებულების პროგრამის საფუძვლათ დადება. ამისთვის ჩვენი ნაციონალური პოლიტიკა რევოლიუციის განმავლობაში მოქნილი და პოლიტიკურ მდგომარეობის ცვლასთან შეფარდებული უნდა გამხდარიყო. „ჩვენ წინ რომ იდგეს საკითხი; ავტონომია თუ ფედერაცია—ჩვენ ავტონომიას ვარჩევდით; თუ ასე დავაყენებთ კითხვას: ფედერაცია თუ სრული დამოუკიდებლობა—ჩვენ ფედერაციას დავადგებოდით; მაგრამ როცა ჩვენ ასეთ ალტერნატივის წინაშე ვდგევართ: სრული დამოუკიდებლობა ოუ ოსმალეთის ბატონობა ჩვენზე—ჩვენ მტკიცეთ ვდგევართ სრული დამოუკიდებლობის ნიადაგზე“.—ნოე ჟორდანიას ეს სიტყვები, სეიმის 22 თებერვლის სხდომაზე წარმოთქმული, საუკეთესოთ ახასიათებს სოც.-დემოკრატიულ, მარქსისტულ ნაციონალურ პოლიტიკის შინაარსს. და ვინც ჰფიქრობს, სოც.-დემოკრატიამ უარჰყო თავის წინანდელი ძირითადი დებულებანი და სულ სხვა თვალსაზრისზე დადგაო—ის რასაკვირველია სცდება, პოლიტიკურ ცხოვრებაში ვერ ერკვევა და მეტაფიზიკურ აზროვნებას ვერ გასცილებია.

საზოგადოთ მარქსისტები ყველა თავის მოქმედებაში უფარდებენ ერთმანეთს არსებულ მდგომარეობას და მუშათა კლასის, როგორც მახლობელ, ისე საბოლოო ინტერესებს; სოც.-დემოკრატია, როგორც პროგრესის გამომხატველი პარტია, მტერია ყოველგვარ კონსერვატაზმისა და ვაი იმ სოც.-დემოკრატიულ პარტიას, რომელმაც ტრადიციები და ჩვეულებანი ვერ უარჰყო მაშინ, როცა ეს საჭირო გახდება. და აი, მიუხედავათ ჩვენი დემოკრატიის რუსეთის დემოკრატიასთან მჭიდრო კავშირისა, მიუხედავათ ოცი წლის ბრძოლის ტრადიციებისა—ცივმა პოლიტიკურმა მოსაზრებამ დასძლია ყოველგვარი შინაგანი დაბრკოლება. და ზოგიერთების შეურიგებლობა კი ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის აქტთან უფრო ფსიხოლოგიური თვალსაზრისით აიხსნება, ვიდრე პოლიტიკური მოსაზრებებით. და ჩვენც, რასაკვირველია, მხოლოდ პოლიტიკურ მოსაზრებებს უნდა გაუწიოთ ანგარიში.

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის საკითხი მჭიდროთ დაკავშირებულია ზავის საკითხთან. აქაურ დემოკრატიის დაუკითხავათ ბათუმისა და ყარსის ოლქი სახალხო კომისართა საბჭომ ოსმალეთს დაუთმო; და აი საჭირო ხდება რუსეთის დამარცხების ყოველგვარ მემკვიდრეობისაგან თავის განთავისუფლება, რამდენადაც ეს დღევანდელ პირობებში შესაძლებელი იქნება; მეორეს მხრივ თუ ჩვენ გვინდა ჩვენი დამოუკიდებელი საზავო პოლიტიკა ვაწარმოოთ—საერთაშორისო თვალსაზრისით ერთს იურიდიულს ერთეულს უნდა წარმოვადგენდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველ პოლიტიკურ მოსაზრებისათვის ოსმალეთს პირდაპირ საბაბი ექნება ჩვენი ზავის პირობები ან არ მიიღოს. ან თუ მიიღებს, ისევ ჩქარა დაარღვიოს.

მაგრამ არის მრავალი სხვა მხარე ამიერ-კავკასიის დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობისა, რომელიც ასეთს ნაბიჯს სახიფათოდ ხდის. უდაოთ არის მიჩნეული ის რომ, თუ ამიერ-კავკასიის ერებში სოლიდარობა არ იქნა განმტკიცებული, თუ სომხებმა, მუსულმანებმა და და ქართველებმა ერთსულოვნება არ გამოიჩინეს—მაშინ

ყველა დადებითი მხარე ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლათ გამოცხადებისა თავის წინააღმდეგობაში გადავა — და უარყოფითად გადაიქცევა. აქედან გამომდინარეობს — რომ აქაური ერთა სოლიდარობა აუცილებელი **პირობაა** ამ ნაბიჯის გადადგმისა; მაგრამ მეორეს მხრივ—ეს სოლიდარობა ერთ-ერთი დადებითი **შედეგიც** უნდა იყოს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობისა.

რუსეთის რღვევამ უაღრესათ განავითარა ცენტრის დამშლელი ძალები და თვით ამიერ-კავკასიაშიაც ძნელი იქნება ძლიერი ცენტრის შექმნა. გამოურკველობაში მყოფი სომხები და მუსულმანები ყველა თავის საკუთარ მომავლის შესახებ ზრუნავს და დასაყრდნობ წერტილს ეძიებს. ასეთ დასაყრდნობ წერტილათ მუსულმანთათვის, როცა სხვა პერსპექტივა არ არსებობს, იდვილი შეიქნება ოსმალეთის იმპერია. და აი ამ მხრივაც ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა იმ ახალ ფაქტორათ უნდა გახდეს, რომლის გარშემო უნდა შემოკრბეს ყველა ერი ამიერ-კავკასიისა. მუსულმანთათვის ამ შემთხვევაში ოსმალეთის ორიენტაცია, ამიერ-კავკასიის ორიენტაციათ უნდა შეიცვალოს; ისინი თავის თავს იგრძნობენ მაშინ თავის ცხოვრების ბატონ-პატრონათ და გამომჭედათ. ეს მით უფრო მოსალოდნელი არის, რომ მუსულმანების წინ საკითხი ამ სახით დადგება: ან თვითმპყრობელი ოსმალეთი, ან დემოკრატიული ამიერ-კავკასია. თუ ჩვენ მუსულმან გლეხებს ვაგრძნობინებთ ამ უკანასნელ გზის მათთვის სარგებლიანობას—მაშინ თვით მუსულმანთა დემოკრატია აქტიურათ გამოვა ამიერ-კავკასიის მთლიანობის დამცველათ. ეს კი მხოლოთ აგრარულ საკითხის საჩქაროთ გადაჭრას შეუძლია. აქ არის გლეხის სუსტი ადგილი და აქ, ამ საკითხში, იყრის თავს ყველა მისი სასიცოცხლო ინტერესები.

ამნაირათ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან მჭიდროთ არის გადახლართული ყველა პოლიტიკური და სოციალური ძაფები, იგი საკვირველ ანტინომიებში არის გახვეული და მხოლოდ დიდ ენერგიას და სწორს პოლიტიკას შეუძლია ჩამოაცილოს ამ ნაბიჯს მისი სუსტი და შეიძლება, ზოგიერთ შემთხვევაში, დამღუპველი მხარეები.

საერთაშორისო პოლიტიკის თვალსაზრისითაც რომ შევხედოთ ამაერ-კავკასიის დამოუკიდებლობის საკითხს—იგი რეალურ ნიადაგს ეყრდნობა. ცნობილია, გერმანიას დამოუკიდებელ პოლონეთის სახით უნდოდა ერთგვარი კედელი აღემართა თავის და რუსეთის შუა. ამგვარივე ინტერესი აქვს ოსმალეთს. მიუხედავათ რუსეთის დანაწილების და გერმანიის მიერ დაპყრობისა—მოსალოდნელია მისი ფეხზე წამოდგომა და გაძლიერება; რუსეთი კი მუდამ მტერი იყო ოსმალეთისა, ეს უკანასკნელი მის იმპერიალისტურ მისწრაფებათა ობიექტს წარმოადგენდა. ასე რომ ოსმალეთისთვის ხელსაყრელია მის და რუსეთს შუა დამოუკიდებელი ამიერ-კავკასიის სახით ერთგვარი ბუფერი იყვეს შექმნილი. ამ მოსაზრებით ოსმალეთი მხარს დაუჭერს, ჩვენის აზრით, ამიერ კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადებას, თუ კი იგი ეხლანდელ გამარჯვებულ მდგომარეობით არ დაბრმავდა. ეს კი გაცილებით გაადვილებს ამ აქტის ცხოვრებაში გატარებას და მას საერთაშორისო ურთიერთობაში ერთგვარ სიმძიმეს მიუმატებს.

მაგრამ ყველაზე უფრო ეს საკითხი, მთელი თავისი სიგრძე-სიგანით აღებული, ჩვენ, მარქსისტებს ეკონომიური თვალსაზრისით უნდა გვაინტერესებდეს. „უფლების დანიშნულებაა, ამბობს შპრინგერი, უმთავრესათ მეურნეობა უზრუნველჰყოს, გაამაგროს და განავითაროს იგი; უფლებრივი ერთობა ეკონომიურ ერთობის ფორმალური გამოხატულება და მატერიალური გარანტია არის". (Шпрингеръ. Національ. проблема. გვ. 245). წარმოადგენს თუ არა ამიერ-კავკასია ერთს ეკონომიურ მთელს, შეუძლია თუ არა მას ეკონომიურათ დამოუკიდებლათ ცხოვრება—ამაშია უმთავრესი საკითხი, რადგან ბოლოს და ბოლოს ყველა არგუმენტს უმთავრესათ ამ შემთხვევაში აქვს მნიშვნელობა.

„რამდენადაც უფრო დიდი და ვრცელია ერთეული, ამბობს იგივე შპრინგერი, რამდენადაც სხვადასხვაგვარია ნაწილები, მით უფრო ადვილათ მოქმედობს და ვითარდება მთლიანობა, თუ კი ის მიზანშეწონილათ არის მოწესრიგებული" (ibid. გვ. 246). ამ მხრივ კი ამიერ-კავკასია ცუდ პირობებში არის. ჯერ ერთი იგი მცირე ეკონომიური ერთეულია, ასე რომ, მიუხედავათ თავის მრავალფეროვნებისა, მაინც გაუძნელდება ერთი ნაწილის ნაკლი მიზანშეწონილათ მეორე ნაწილის ღირსებებით შეავსოს; აქამდის ამიერ-კავკასია თავის პურით კი არ იკვებებოდა, იგი უმთავრესათ შემოტანილ პურს ხარჯულობდა და ეს ასეც დარჩება. ეს მოვლენა კიდევ იმდენათ დამაფიქრებელი არ იქნება, რომ მეურნეობის სხვა დარგები იყვეს აქ განვითარებული. მართალია შავი ქვისა და ნავთის მრეწველობა ამ მხრივ დიდ პლიუსს წარმოადგენს, მაგრამ ეს მხოლოდ ორი ოაზისი არის მთელ ამიერ-კავკასიის მიწა-წყალზე, ასე რომ მათი განვითარება მთელი ერთეულის ეკონომიურ განვითარების დონეს არ გამოჰხატავს.

ოტო ბაუერს თავის ზემოხსენებულ წიგნში მშვენივრათ აქვს გამოკვლეული მთელი სირთულე და სიძნელე წვრილ ეკონომიურ ერთეულის ცხოვრებისა. როგორც პროდუქტების წარმოების და შრომის ნაყოფიერების მხრივ, ისე კაპიტალის მოძრაობისათვისაც საჭიროა დიდი ეკონომიური ერთეული. პატარა ერთეულში უბრალო ადგილობრივი კრიზისიც კი საერთო კრიზისათ უნდა გადაიქცეს, მაშინ როდესაც დიდ ეკონომიურ ერთეულში მისი გამანადგურებელი ძალა იკარგება და ქარწყლდება. პატარა ერთეული ამისთვის იძულებულია უმთავრესათ გაცვლა-გამაცვლის რთულ ხვეულში ჩაებას და სხვა და სხვა ხელშეკრულება დასდვას სხვა სახელმწიფოებთან; ამ ხელშეკრულების შეკვრის დროს კი წვრილი ერთეული სუსტია ეკონომიურათ, მისი შინაური მრეწველობა გაცილებით ნაკლებია მის საგარეო ვაჭრობაზე, აგრეთვე

სუსტია პოლიტიკურათ, მისი სახელმწიფოებრივი აპარატი ვერასოდეს ვერ იქნება ძლიერი; ეს მდგომარეობა კი მას საერთაშორისო ურთიერთობაში ცუდ პირობებში აყენებს. *) წვრილ ეკონომიურ ერთეულის ამისთანა სუსტი მხარეების ჩამოთვლა კიდევ მრავლათ შეიძლება, მაგრამ მაგალითისათვის ესეც საკმარისი არის.

ცხადია ამიერ-კავკასიას, ეკონომიურათ დაქვეითებულს და ომისგან კიდევ უფრო განადგურებულს, მეტად ძნელ პირობებში მოუხდება დამოუკიდებლათ ცხოვრება. ჯერ-ჯერობით გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება. იქნებ ამიერ-კავკასია ეკონომიურათ ისე განვითარდეს, ისე ინტენსიურათ ისარგებლოს თავისი ნივთიერი სიმდიდრე, რომ სხვა თავის ნაკლი გააქარწყლოს. ამის ტენდენცია თითქოს უკვე სჩანს. მაგრამ მოსალოდნელია წინააღმდეგიც მოხდეს.

ასეა თუ ისე, მიუხედავათ ამ თვალსაზრისის პრინციპიალურ და საზოგადო მნიშვნელობისა, ამ ჟამათ, დღევანდელ პოლიტიკურ მომენტში, მას არ შეუძლია გადამწყვეტი გავლენა ჰქონდეს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის საკითხის გადაჭრაში. დღევანდელს ჩვენს ცხოვრებაში ძნელია ხანგრძლივ მოქმედების გეგმის წინასწარი გამომუშავება; ჩვენი აზროვნება სპორადიულია, იგი ნახტომებით ვითარდება. „ჩვენ როგორ ვიმსჯელებთ ლოლიკურათ, როცა ფაქტებში არ არის არავითარი ლოლიკა“—სთქვა ერთხელ აკ. ჩხენკელმა. და აი დღეს პოლიტიკურმა მომენტმა რევოლიუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლების უზრუნველსაყოფათ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა დასვა დღის წესრიგში.

რა იქნება ხვალ, როცა ცხოვრება დაწყნარდება,—ამას აღარ ვკითხულობთ და არცა გვაქვს ამის გათვალისწინების შეძლება. იქნებ ჩვენ ფეხზე წამომდგარ რუსეთის დემოკრატიას მივცეთ ისევ ხელი; ყოველ შემთხვევაში ჩვენ გვინდა ეს დავიჯეროთ.

—ა.—ი.

*) იხ. Отто Бауеръ. Нац. вопросъ გვ. 184—9.

*
* *

1

აბა ვინ სთხოვა არა-მკითხე მეჭირისუფლეს,
კავკასიასაც რომ შეახო გამცემი ხელი?..
ჩვენს თავისუფალ მზე-სამშობლოს მტერი აუფლეს
და შეურაცხყვეს მებრძოლ გმირთა წმინდა სახელი...
ძმობა-ერთობა სიყვარულის მქადაგებელი
თვითმპყრობელ მეფეთ მოევლინა რუსეთის ერებს...
ცხოვრების გემის მხნე მესაჭე, მტერთა მხობელი
ჯალათათ გვექცა... ზე გვიმართავს კაეშნის სერებს...
საშვილთაშვილოთ დამშეული, რბეულ-ქცეული
ძმათა უმანკო სისხლის ზღვაში სცურავს ქვეყანა...
ცრემლში იხრჩვება სიხარული ძაძებ-ხვეული...
თავისუფლება, პური, ზავი ეს არის განა?..

2

თქვენ კი, ერთგულნო, მოგიწოდებთ შემოკრბეთ ერთად,
გამოესარჩლოთ ცრემლში მმინავ კაცობრიობას!
შურის ძიება აღიაროთ სიმართლის ღმერთად,—
ფოთა შეაკვეცოთ უგუნურთა თავ-გასულობას!
იყო დრო როცა მეც ბევრსავით დაბრმავებული
მათ დაპირებებს ზე-ქვეყნიურს თანავუგრძნობდი...
ოცნების ზღვაში შეტოპილი, გზა-აბნეული
ერთგულ მებრძოლებს უარვყოფდი, ვკიცხავდი, ვგმობდი...
დღეს კი ჩემს ლტოლვას გაფხიზლებულს, გასალკლდევებულს
ვერ აღუდგება წინ კლდე-ღრენი, სიმაგრე მტრისა!
სანამ არ მნახავთ მკერდ-გაფლეთილს, გაგულცივებულს,—
ვიჭექ-ვიგრგვინებ, ვიქუხილებ ვით რისხვა ცისა!
თქვენც, მეომარნო, თან მომყევით! შემფიცეთ ძმობა!
შეურაცხყოფილთ ბრძოლა გვმართებს! შევმუსროთ მტრები!
დღეს საფრთხეშია ჩვენი სატრფო თანასწორობა,—
მისთვის დავეცეთ სწორ-უპოვარ ბრძოლაში მკვდრები!

გენო.

ქალთა კითხვის შესახებ.

იმ საკითხს, რომელსაც გვინდა ჩვენ აქ შევეხოთ, შეიძლება **დღეს** ერთგვარი პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდეს, ვინაიდან ეს დიდი რევოლიუცია თავისი შინაგანი ძლიერებისა და საბოლოო მიზნებით, მოწოდებულია სხვა მრავალ საკითხებთან ერთად, ეს კითხვაც დადებითად გადასჭრას. შეიძლება იკითხოთ: დემოკრატიული რევოლიუცია აღარ არსებობს, როგორც ასეთი, იგი თითქმის დამარცხებულია და მან რა კითხვები უნდა გადასჭრასო? მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში უნდა დავემყაროთ ისტორიულ აუცილებლობის კანონს და ვსთქვათ, რომ ის, რაც აუცილებელი მოვლენაა—აუცილებლათვე იქნება ცხოვრებაში გატარებული, მიუხედავათ ათასგვა-

რი დროებითი დაბრკოლებისა. ამ რევოლიუციონურმა მოძრაობამ წამოაყენა განსაზღვრული კითხვები, გამომდინარე იბიექტიური რეალობისაგან და მაზევე დაფუძნებული, და იგინიც, ძირითადი კითხვები დემოკრატიული რესპუბლიკის, **ადრე თუ გვიან** აუცილებლივ იქნებიან სინამდვილეთ ქცეულნი, იმის და მიუხედავათ რომ დღეს რევოლიუციონური ჰორიზონტი მოგრაგნულია შავი ღრუბლებით. ვიმეორებ: ის იდეები, რომელიც ეკონომიურმა მსვლელობამ, საწარმოო ძალთა მდგომარეობამ და ამათმა მიზან შეწონილმა განვითარებამ დასვა დღიური წესრიგში, დღეს თუ არა ხვალე მაინც უნდა იყვნენ განხორციელებული ცხოვრებაში. და აი ამისთანა კარდინალურ კითხვათა რიცხვს ისიც ეკუთვნის, რომლის შესახებ უნდა მოგახსენოთ. ამ რევოლიუციამ ქალთა კითხვაც უნდა გადასჭრას, რასაკვირველია იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, რადგანაც ეს კითხვა **მთლათ და სავსებით** ვერ გადიჭრება მანამდე, ვიდრე ძირიანათ არ იქნება შეცვლილი წესი საზოგადოებრივი წარმოებისა, ე. ი. ვიდრე კაპიტალიზმს სოციალიზმი არ შესცვლის.

ჰო და, საკითხავია: რა არის ეს **ქალთა კითხვა,** როგორია მისი შინაარსი, რანაირათ უნდა გვესმოდეს ჩვენ ის?

ქალთა საკითხი, როგორც ასეთი, შედარებით უფრო ახალი კითხვაა, მან გაცილებით გვიან მოიპოვა ძოქალაქობრივი უფლება. ეს კითხვა გაძოწვეულია იმ წინააღმდეგობით, რომელიც არსებობს ერთის მხრივ ქალთა ეკონომიურის და მეორეს მხრივ მათ უფლებრივ მდგომარეობის ურთიერთობაში. იგი წარმოიშვა როგორც კონფლიქტი ქალთა თანამედროვე უუფლებო მდგომარეობასა და მათ შეგნებას შორის, რომ ყველაფერში, ცხოვრების ყოველ დარგში იყვნენ გათანასწორებულნი მაბრობით სქესთან. ბებელის თქმით, ეს საკითხი ეხება იმას, თუ რა ადგილი უნდა დაიჭიროს დედაკაცმა ჩვენ სოციალურ ორგანიზმში, რა გზით შეუძლიან მას ყოველ მხრივ გახავითაროს თავის ნიჭი და ძალები, რომ საზოგადოების სრულ უფლებიანი, თანასწორი და შეძლების და გვარათ აქტიური წევრი გახდეს. ეს კითხვა, ნათლად რომ ვსთქვათ, ბოლოს და ბოლოს არის კითხვა ლუკმა პურის შესახებ. მისი ფესვები ღრმათ ჩამარხულია ეკონომიკაში.

რატომ მაინც და მაინც ამ უკანასკნელ ხანებში დაისვა ასე მწვავედ ეს კითხვა? ხომ იყვნენ ქალები ძველად, წინეთაც; ხომ ისეთსავე უუფლებობას, ჩაგვრას და დაძონებას განიცდიდენ ისინი მამაკაცისა და საზოგადოებისაგან, როგორც ამ ჟამად? რა არის ამის მთავარი მიზეზი? ამის მიზეზია ეკონომიური განვითარება, საზოგადოებრივი ფორმების რადიკალური ცვლილება, ძველთან შედარებით.

გარდა იმ ხანისა, რომელსაც მატრიარქატი, დედათმთავრული პერიოდი ეწოდება, როდესაც ცხოვრების ყველა მთავარ დარგში დედაკაცი იყო უპირატესობაში, ისტორიის შემდგომ განვითარების დროს, კერძო საკუთრების განმტკიცებისთანავე მდედრობითმა სქესმა დაიკავა ქვემდებარე ადგილი და ამ ხნიდან იგი ყოველ მხრივად დაეძონა და დაემორჩილა მამაკაცს. ამ ხნიდან იგი შეიქნა ექსპლოატაციის შეგნებულ, ცოცხალ ობიექტათ. მას შემდეგ რაც კერძო საკუთრებამ ფეხი მოიკიდა ადამიანთა ცხოვრებაში, ქალთა მდგომარეობა ისეთივე იყო მუდამ, როგორიც მშრომელი კლასისა. კიდევ მეტი, ზოგიერთ პირობებში ისტორიის განვითარების სხვა და სხვა სტადიაში და სხვა და სხვა დროს, ქალთა სოციალური მდგომარეობა უფრო დაბეჩავებული, დაქვეითებული იყო, ვიდრე გაყვლეფილთა კლასისა საერთოდ. ამ მხრივ მდედრობითი სქესი შეიძლება ჩაითვალოს მეხუთე წოდებათ, რომელიც ყველაზე ძეტად განიცდიდა და განიცდის ეხლაც ექსპლოატაციას, როგორც ეკონომიურის უმთავრესათ, ისე იურიდიული და პოლიტიკურის მხრივ.

ძველ ხანაში ისევე, როგორც სამუალო საუკუნეებში ქალთა ასეთი უმწეო და დამოკიდებული მდგომარეობა გამოწვეული იყო იმდროინდელი ეკონომიური, საწარმოო ძალთა ურთიერთობის ზეგავლენით. ეს ურთიერთობა ისეთი იყო, რომელიც მაშინდელ შეხედულობას დედაკაცზე ამართლებდა და ხდიდა ამ შეხედულებას „უუდმივ ხნეობრივათ, უცვლელათ“. ოჯახის საგარეო ფუნქციებს მამაკაცი ასრულებდა, დედაკაცი კი მოვალე იყო სახლში კარჩაკეტილს ეწარმოებია ოჯახური მეურნეობა. დედაკაცი ბიბ იყო და ასრულებდა ყოველგვარ შინაურ საქმეს, მამაკაცი იცავდა ოჯახს და ზრუნავდა მის ეკონომიურ კეთილდღეობაზე. როდესაც მამაკაცი ბევრს საქმელს იშოვიდა, იგი თავისუფალი იყო და ისვენებდა, დედაკაცი კი მოვალე იყო მუდამ შრომა გაეწია ოჯახში, ოთვლო ქმარ-შვილებისთვის და სხვა. როგორც იმ დროში იტყოდენ „მამაკაცისათვის მთელი ქვეყნიერობა იყო სახლ—კარი, დედაკაცისთვის კი სახლ-კარი—მთელი ქვეყნიერობა“. აქედან წარმოსდგა მამაკაცის ბატონობა დედაკაცზე. ამიტომ იყო, რომ იმ დროინდელ ხნეობაში ბატონობდა ის შეხედულობა (და ეხლაც ბატონობს ისევ!), რომ დედაკაცი მხოლოდ უნდა იყვეს „კარგი, სათნოიანი დიასახლისი“, მორჩილი და მოხა მამაკაცისა. ეს შეადგენდა მის კომპეტენციას და ესვე იყო მისი უდიდესი ღირსება იმ დროში.

მაგრამ დედაკაცის როლიც საზოგადოებრივ წარმოებაში თანდათან იცვლება. კაპიტალიზმი თან და თან განვითარდა, გადალახა და მოსპო ყოველგვარი ძველი ტრადიციები, და მიაღწია განვითარების უმაღლეს წერტილს მე-XIX-ტე საუკუნეში. და ძირიანათვე შეიცვალა დედაკაცის მნიშვნელობა წარმოებაში, მაგრამ მისი სოციალური მდგომარეობა კი თითქმის ძველი დარჩა. აი სწორედ აქაა დასაბამი ფემინისტური მოძრაობის, აქედანვე წარმოიშვა ეგრედ წოდებული „ქალთა კითხვა“. ქალები თანდათან მოსცილდენ იმ ვიწრო წრეს, რომელსაც ოჯახი ეწოდება, კაპიტალიზმი არღვევს ძველ ოჯახურ ურთიერთობას და მე-XIX-ე საუკუნის განმავლობა-

ში დედაკაცი თითქმის გვერდში ამოუდგა მამაკაცს საზოგადოებრივ საქმეებში და განსაკუთრებით სამუშაო ბაზარზე, სამრეწველო, ინდუსტრიალურ დარგებში.

განსაკუთრებით მუშა-ქალთა როლი მთლათ შეიცვალა საზოგადოებრივ წარმოებაში. იმას, რაც წინათ იქმნებოდა მისი შრომით თავის კერძო მოთხოვნილებისათვის, ეხლა, კაპიტალიზმის აყვავების დროს, როდესაც ქალიც ჩაება ამ მუშაობაში, მიეცა წმინდა საზოგადოებრივი სარგებლობის ხასიათი. ეკონომიური განვითარების, ისტორიული აუცილებლობის ზეგავლენით დედაკაციც მამაკაცთან ერთად მანქანას ამოუდგა. ამიტომ ბოლოს და ბოლოს „ქალთა კითხვა, ისევე როგორც მუშათა კითხვა—პირმშო შვილია იმ წარმოების, რომელიც აყვავდა ორთქლისა და ელექტრონის მექანიკურ ძალთა ზეგავლენით. ეს არის არა პოლიტიკური ან და მორალური კითხვა (თუმცა შიგ ურევია პოლიტიკური და ზნეობრივი ელემენტებიც), არამედ კითხვა—ეკონომიური“. *).

დედაკაცი გამოვიდა თანამედროვე ცხოვრებაში, როგორც დამოუკიდებელი ერთეული და აქედანვე წარმოსდგა მისი ბრძოლა სხვა და სხვა გვარ თავისუფლებისათვის. თუ წინეთ ქალი ეკონომიურათ დამოკიდებული იყო მამაკაცზე, ეხლა მათი საკმაო რიცხვი თვითონ იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს. ქვემო მოყვანილი ციფრები მოწმობენ იმას, თუ რამდენი % ორივე სქესისა მთელ მცხოვრებთა რიცხვთან შედარებით, იკმაყოფილებს თავის ხელფასით საკუთარ მოთხოვნილებებს:

ავსტრიაში—	ქალები	47%—	მამაკაცები	63%.
იტალიაში—	„	40%—	„	66%.
საფრანგეთში—	„	27%—	„	57%.
ინგლისში	„	27%—	„	62%.

დაახლოვებით ასეთივე პროპორციაა სხვა ქვეყნებშიც. **) ასეთივე მდგომარეობაა, როცა საკითხი ეხება იმას, თუ რამდენი მუშა ხელია ჩაბმული საერთოდ საქარხნო წარმოებაში. მაგრამ ამის და მიუხედავათ ქალის უფლებები შეზღუდულია და ის იურიდიულათ დამოკიდებულია ისევ მამაკაცზე. ამ ნიადაგზე აღმოცენდა ქალთა განმანთავისუფლებელი მოძრაობა. ამ მოძრაობას დღეს ორგვარი ხასიათი აქვს: არის მოძრაობა ბურჟუაზიულ-ლიბერალური ხასიათის, გაბატონებული კლასის ქალთა მოძრაობა და არის მოძრაობა პროლეტარი ქალების. ბურჟუაზიულ-ლიბერალურ მოძრაობას სარჩულათ უდევს მისწრაფება მამაკაცთან უფლებრივათ და პოლიტიკურათ გათანასწორებისაკენ, რომლითაც მათ ექნებათ საშუალება გამოიჩინონ თავის უნარი მამაკაცებთან ერთად, როგორც სახელმწიფო სამსახურში, ისე გონებრივ თუ სხვა სფეროებში. წვრილ-ბურჟუაზიული კლასის ქალები კი თუ ემხრობიან ფემინისტურ მოძრაობას მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც მათაც ეძლევათ საშუალება შეეიდნენ ამა თუ იმ წვრილ სამსახურში, რომ თავი ირჩინონ, რადგანაც კაპიტალიზმი არღვევს მათი კლასის ეკონომიურ კეთილდღეობას. საერთოდ კი „პოლიტიკური უფლებანი, საარჩევნო უფლებანი, დეპუტატთა სავარძლები—აი ნამდვილი მიზანი ბურჟუაზიული კლასის ქალთა მოძრაობისა“. *) ამ ხასიათის მომრაობა არ სცილდება არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობის საზღვრებს და კმაყოფილდება არსებულ წესწყობილების ფარგლებში ემანსიპაციით.

სულ სხვა ხასიათის არის მუშა-ქალთა მოძრაობა და ამ საკითხის სწორედ ეს მხარე გვაინტერესებს ჩვენ. როგორც ბებელი ამბობს, „ჩვენი შეხედულებით ამ საკითხს მჭიდრო კავშირი აქვს იმ საკითხთან, თუ როგორი ფორმა და ორგანიზაცია უნდა მიიღოს საზოგადოებრივმა ცხოვრებამ, რომ მოისპოს ჩაგვრა, ექსპლოატაცია, გაჭირვება, სიღარიბე და მათ მაგიერ კერძო პიროვნების და მთელი საზოგადოების ფიზიკური და სოციალური სიყალე გაბატონდეს. ასე რომ ქალთა კითხვა წარმოადგენს ერთ მხარეს საერთო სოციალურ საკითხისას, რომელსაც მთელი საზოგადოების ყურადღება უპყრია და დიდ აზრთა მოძრაობას იწვევს. ამიტომ მისი საბოლოოდ გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოისპობა საზოგადოებრივი წინააღმდეგობანი და აქედან წარმოშობილი ბოროტება“. **)

პროლეტარ ქალთა მოძრაობა მჭიდროთ დაკავშირებულია მთელი პროლეტარიატის მოძრაობასთან. პროლეტარიატის სრული გამარჯვება ამავე დროს არის ქალთა კითხვის რადიკალური გადაჭრაც. ამიტომ მუშა ქალები შედიან ერთ ორგანიზაციაში მუშა-მამაკაცებთან და არა ფემინისტ-ბურჟუაზიულ კლასის ქალების ორგანიზაციაში, მიუხედავად იმისა რომ ეს უკანასკნელნი მოუწოდებენ ყველა ქალს, განურჩევლათ სოციალური მდგომარეობისა, შეერთებისაკენ, ერთად საბრძოლველად „საერთო მიზნების“ ცხოვრებაში განსახორციელებლად. ამის შესახებ ქალთა გოტის კონფერენციის დადგენილებაში ნათლად და გარკვევით შემდეგია ნათქვამი: „იღებს რა კლასიურ ბრძოლაში მონაწილეობას, მუშა-ქალი ისევე საჭიროებს უფლებრივათ და პოლიტიკურათ გათანასწორებას მამაკაცთან, როგორც ბურჟუაზიული წრეების და ბურჟუაზიული ინტელიგენციის ქალები. მაგრამ მიუხედავათ ერთობისა ამ უფლებრივ და პოლიტიკურ რეფორმების საჭიროებაში, მუშა-ქალს უმთავრეს თავის მოთხოვნილებაში—ეკონომიურში—არაფერი საერთო არა აქვს სხვა კლასის ქალებთან. ამიტომ მუშა-ქალის სრული განთავისუფლების საქმე არ არის ყველა კლასის ქალთა საქმე. ეს მიზანი განხორციელდება მხოლოდ პროლეტარია-

---

*) იხ. Клара Цеткинъ „Женщина и ея эконом. полож.“.

**) იხ. Проф. Пирсторфъ „Женскій трудъ и женскій вопросъ“.

*) იხ. А. Коллонтай „Соц. основы женскаго вопроса“.

**) А. Бебель „Женщина и соціализмъ“.

ტის მიერ, განურჩევლათ სქესობრივი განსხვავებისა“. *) ამიტომ მუშა-ქალთა მოძრაობა ბოლოს და ბოლოს არის მთელი პროლეტარიატის განმანთავისუფლებელი მოძრაობა.

რამდენათაც მეტ პოზიციებს იპყრობს პროლეტარიატი თავის საბოლოო მიზნისთვის ბრძოლაში, იმდენადვე ახლოვდება სრული ემანსიპაცია ქალებისა. 1848 წლიდან მოყოლებული, „კომუნისტური მანიფესტის“ გამოსვლისთანავე, სოციალ-დემოკრატია მუდამ დარაჯათ ედგა ქალთა და მუშათა ინტერესებს და მუდამ იცავდა მათ. „ამ პარტიამ ნათლად გაარკვია ის კავშირი, რომელიც არსებობს საერთო პროლეტარულ პრობლემასა და თანამედროვე ქალთა საკითხს შორის. ს.-დემოკრატიამ იმ თავითვე აღნიშნა, რომ კაპიტალიზმი ქალსაც ითრევს წარმოებაში და ხდის მას მონაწილეთ იმ დიად ბრძოლისა, რომელიც სწარმოებს მუშათა კლასის სახით ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ“. **) ამიტომაც პროლეტარული პარტია თავის პროგრამით, სიტყვით, წერით და საქმით მუდამ მედგრათ იცავდა ქალთა თანასწორობის პრინციპს.

მუშა-ქალები თავის დღეში არ უნდა დაუპირდაპირდენ მუშა-კაცებს, არამედ პირ-იქით დაირაზმონ ერთად, ერთ ორგანიზაციაში, რადგანაც ამას მოითხოვს მათი კლასიური შეგნება და ინტერესთა სოლიდარობა, და ასე აწარმოვონ კლასიური ბრძოლა კლასიური საზოგადოების აღმოსაფხვრელათ. მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს იქნება განხორციელებული, მოისპობა მამაკაცის მიერ დედაკაცის დამონებაც.

მანამდე კი, ამ სრულ განთავისუფლებამდე, საჭიროა ბრძოლა პროლეტარიატთან ერთად ცხოვრებაში აუცილებლივ იმის გასატარებლათ, რაც აღიარებულია ჩვენ პროგრამა-მინიმუმში, როგორც მაგალითად, პოლიტიკური და უფლებრივი ემანსიპაცია, ფართო სოციალური კანონმდებლობა და სხვა. რაც შეეხება ქალთა კითხვის საბოლოო გადაჭრას,—ეს, ვიმეორებთ, შესაძლებელია მხოლოდ სოციალიზმის სამეფოში და ამ მომავალ საზოგადოებისათვის საბრძოველათ მოუწოდებთ ჩვენ მუშა-ქალებს. ქალები დღეს ყველაზე კონსერვატიული ელემენტია საზოგადოთ, პროლეტარმა ქალებმა უნდა უკუაგდონ ეს კონსერვატიზმი და შეუერთდენ მოწინავე მუშათა მოძრაობას. „მომავალი ეკუთვნის სოციალიზმს, ე. ი. უპირველესად ყოვლისა მუშას და დედაკაცს“—დავათავებდით ჩვენც ბებელის დიდებული სიტყვებით.

არ. მექანარიშვილი.

---

*) Лили Браунъ „Женскій вопросъ“.

**) А. Коллонтай „Соц. основы женскаго вопроса“.

სადღეისო შენიშვნები.

II

ჩვენი დროის უტოპისტები.

მარქსიზმის სიძლიერე, მისი მთავარი ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ მას, როგორც სოციალურ-ეკონომიურ მოძღვრებას, საფუძვლათ უდევს ისტორიული მატერიალიზმი. იგი ეყრდნობა იმ ობიექტიურ, ადამიანის სურვილების გარეშე მომქმედ კანონებს, რომელიც ამოძრავებდა ისტორიას წარსულში, რომელიც განსაზღვრავს თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში არსებულ ურთიერთობას. სოციალიზმის აუცილებლობის დასაბუთებაში სურვილებს, წინასწარ აღებულ აზრს ადგილი არა აქვს. ისტორიის მატერიალისტურათ ახსნამ, ერთი საზოგადოებრივ წყობილების მეორე საზოგადოებრივ წყობილებათ შეცვლის მიზეზთა შესწავლამ კ. მარქსი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებას აუცილებლათ მოყვება საზოგადოება სოციალისტური. კ. მარქსს რომ სხვა გვარი დასკვნა მიეღო, ვთქვათ აღმოეჩინა, რომ სოციალიზმის განხორციელების აუცილებლობა არ გამომდინარეობს თვით ცხოვრების მსვლელობიდან, ცხადია იგი ვერ გახდებოდა სოციალისტი, სანამ მატერიალისტათ დარჩებოდა. მაშასადამე, სოციალიზმი, როგორც საზოგადოებრივი წყობილება, არ იყო მარქსისათვის წინასწარ აღებული ან კაბინეთში შემუშავებული იდეა. და ამაშია სწორეთ მარქსიზმის სიმტკიცე, მისი ცხოველმყოფელობა.

მარქსიზმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სოციალიზმის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს ამისთვის საჭირო ობიექტიური და მასზე აღმოცენებული სუბიექტიური პირობები. ეს დებულება დღეს საკმაოთ განმტკიცებულია, თვით იდეალისტურ ფილოსოფიის მიმდევრებიც ქედს იხრიან მის წინაშე, ვინაიდან კარგად ხედავენ, რომ დღევანდელი წყობილების შეცვლა მარტო სურვილებით არ შეიძლება. მარქსამდე კი უცნობი იყო ეს შეხედულება. მე-XIX-ე საუკუნის დასაწყისის სოციალისტებისათვის საკმარისი იყო დაემტკიცებიათ სოციალიზმის უპირატესობა კაპიტალიზმის წინაშე, რომ დაუყონებლივ შესდგომოდენ სოციალიზმის განხორციელებას. მათ არ აინტერესებდა საკითხი, არსებობდა თუ

არა ამისთვის საჭირო ობიექტიური პირობები, უზრუნველყოფდა თუ არა მათი მიზნის განხორციელებას საწარმოვო ძალთა განვითარება. ამ სოციალისტებს კ. მარქსმა უტოპისტები უწოდა, მათი მიზანი უტოპიურათ აღიარა, ვინაიდან იგი ეყრდნობოდა მხოლოდ კეთილ სურვილებს და არავითარი რეალური საფუძველი სინამდვილეში მას არ ჰქონდა. ჩვენთვის, მეცნიერულ სოციალიზმის მიმდევართათვის ცხადია დღეს, თუ რა ნაყოფი უნდა გამოეღო ხსენებულ სოციალისტთა მოქმედებას. ჩვენ ვიცით, რომ ისინი სასტიკათ დამარცხდენ, სინამდვილე სურვილებზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა და დაასამარა მათი ილიუზიები.

უტოპისტ სოციალისტებმა სოციალიზმი ვერ განახორციელეს. ვერ განახორციელეს იგი ვერც საფრანგეთის ანარქო-ბლანკისტებმა, რომლებმაც დიდი ვნებაც კი მოუტანეს მუშათა კლასს, როცა მოისურვეს მის თავზე უდროოთ სოციალიზმის მოხვევა.

ჩვენ ვითვალისწინებდით ისტორიის ამ გაკვეთილებს და არ გვინდოდა გაგვემეორებია წარსული შეცდომები. ამიტომ მტკიცეთ ვადექით და დღესაც ვადგივართ იმ შეხედულებას, რომ სოციალიზმის განხორციელებისათვის საჭიროა არსებობდეს შესაფერი ობიექტიური და სუბიექტიური პირობები. ჩვენი დანიშნულებაა ხელი შეუწყოთ ამ პირობების შექმნას და მით დავაჩქაროთ საბოლოო მიზნის მიღწევა. სანამ ეს პირობები არ შექმნილა, სანამ ქვეყნის საწარმოვო ძალები ჯერ კიდევ საკმაოთ არ განვითარებულა, სოციალიზმის დამყარებაზე ოცნება ოცნებათვე დარჩება. და თუ ჩვენ ამ ოცნების განსახორციელებლათ გადავდგამთ პრაქტიკულ ნაბიჯებს, ამით დიდ ზიანს მოუტანთ თვით მუშათა კლასს და შევაფერხებთ სოციალიზმის საქმეს.

მაგრამ ასე არ მსჯელობენ ჩვენი დროის უტოპისტები—ბალშევიკები, რომლებიც, რაღაც გაუგებრობის გამო დღესაც მარქსისტებს უწოდებენ თავის თავს. დაიწყო რევოლიუცია თუ არა, იგი მათ სოციალისტურათ გამოაცხადეს და ყოველ საკითხის გადაჭრას, ყოველ საზოგადოებრივ მოვლენას ამ თვალსაზრისით უდგებოდენ. არ არის საჭირო აქ მოვიყვანოთ სტატისტიკური ცნობები იმის დასამტკიცებლათ, თუ რამდენათ ჩამორჩენილია დღეს რუსეთი ეკონომიურათ, კულტურულათ, ერთი სიტყვით ყოველ მხრივ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით. ეს დღეს ყველასათვის აშკარაა, ამას ხედავენ თვით ბალშევიკები. აქედან ცხადია, შესაძლოა მხოლოდ ერთად ერთი დასკვნის გამოტანა: როცა დაწინაურებულ ქვეყნებში ჯერ კიდევ კაპიტალიზმი მძვინვარებს, უკან ჩამორჩენილ რუსეთში სოციალიზმის განხორციელება ყოვლათ შეუძლებელია.

რევოლიუციის დაწყებამდე ბალშევიკები ჩვენთან ერთად იბრძოდენ თვითმპყრობელობის დასამხობათ. თვითმპყრობელობა კი პოლიტიკური გამოხატულებაა ფეოდალურ ან ნახევრათ ფეოდალურ წყობილებისა ეკონომიკაში. ცხადია, რუსეთის რევოლიუციის დანიშნულება უნდა ყოფილიყო ფეოდალიზმის ნანგრევებზე ბურჟუაზიულ წყობილების განმტკიცება და დემოკრატიზმის გამეფება პოლიტიკაში. ასეთია მარქსისტული შეხედულება, ასე ესმოდა წინათ ეს ბალშევიკებსაც და ამიტომ ჩვენთან ერთად იცავდენ მესამე ყრილობაზე მიღებულ პროგრამას, რომლის მინიმუმი განსაზღვრავს სწორეთ დღევანდელ რევოლიუციის მიზანს. კ. კაუცკი, გამოჩენილი თეორეთიკოსი მარქსიზმისა, აშკარათ და გარკვევით ამბობს, რომ დღევანდელი რუსეთის რევოლიუცია მიმართულია თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. *).

მაგრამ ნ. ლენინი და მისი მიმდევარნი აბა რას დაგიდევენ მარქსიზმს. ისინი, როგორც ვიცით, ცდას ახდენენ. მათ უნდათ აქ დაიწყონ სოციალისტური რევოლიუცია და ამით სოციალისტურ რევოლიუციის ცეცხლის ალში გახვიონ ევროპის სხვა ქვეყნებიც. ბალშევიკებმა ჩვენს რევოლიუციას, რომელიც ერთობ განსაკუთრებულ და საბედისწერო პირობებში მოხდა და რომლის გამარჯვებისათვის მეტათ დიდი სიფხიზლე და ენერგია იყო საჭირო, თავს მოახვიეს სოციალიზმის განხორციელება, მიუხედავათ იმისა, რომ ამისათვის საჭირო ობიექტიური და სუბიექტიური პირობები რუსეთში საუბედუროთ ჯერ კიდევ არ არსებობს. ცხადია, ბალშევიკების განზრახვას არავითარი რეალური საფუძველი არა აქვს, იგი არ გამომდინარეობს სინამდვილიდან, საწარმოვო ძალთა განვითარებიდან. მათ სურთ, მათ უნდათ მხოლოდ განახორციელონ თავის მიზანი. და როცა ასეთ სახიფათო, მოლი-

---

*) იხ. K. Каутскій. „Старая и новая революція".

პულ გზას დაადგენ ბალშევიკები, როცა მათ თავის სურვილს დაუქვემდებარეს საზოგადოებრივ ურთიერთობის, ეკონომიურ წყობილების შეცვლა,— ცხადია ამით უკვე გასწყვიტეს საქმით კავშირი მარქსიზმთან, რომელიც არავითარ როლს არ აკუთვნებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სურვილებს. ამ მოვლენას ფორმალური გამოხატულებაც უნდა მისცემოდა. ბალშევიკებს უარი უნდა ეთქვათ ჩვენს საერთო სოციალ-დემოკრატიულ პროგრამაზე, უარი უნდა ეთქვათ მარქსისტობაზე, მაგრამ ამისთვის საჭირო გამბედაობა მათ არ აღმოაჩნდათ. მხოლოდ მათმა ლიდერმა ნ. ლენინმა გაბედა ამის აღიარება და რუსეთში ჩამოსვლისთანავე ძირმომპალი უწოდა სოციალ-დემოკრატიულ პროგრამას და მოითხოვა მისი შეცვლა. მანვე ერთ-ერთ კრებაზე სთქვა, შეიძლება ხუთასი წლის განმავლობაშიც არ გახდეს რუსეთში ძუშათა კლასი უმრავლესობა და ნუ თუ მანამდე სოციალიზმი არ უნდა განხორციელდესო.

ამნაირათ დღევანდელი რევოლიუციის დანიშნულებისა და მიზნების განსაზღვრის დროს ბალშევიკები ხელმძღვანელობენ მხოლოდ სურვილებით. რევოლიუციის მიერ წამოყენებულ ყველა კითხვების გადაჭრასაც ისინი თავის სურვილებს უდებენ საფუძვლათ და არავითარ ანგარიშს არ უწევენ რეალურ ძალთა განწყობილებას. და ჩვენ კარგათ ვიცით თუ რითი თავდება მოქმედება, რომელიც მხოლოდ სურვილებიდან გამომდინარეობს. და თავიდანვე ვამბობდით, რომ ჩვენი დროის უტოპისტების ცდა დამარცხებით დათავდებოდა. ეს ასეც მოხდა. მეოთხე თვეა ბალშევიკები სათავეში უდგანან სახელმწიფოს, მეოთხე თვეა ისინი ახდენენ სოციალისტურ ექსპერიმენტებს, სცემენ შესაფერ დეკრეტებს, მაგრამ სოციალისტურ წყობილების ნიშნებიც ვერ მოგვცეს, პირიქით ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება კიდევ უფრო არივ-დარიეს და ქვეყანა დაღუპვის კარამდე მიიყვანეს.

ყოველივე ამის გასათვალისწინებლათ არ იყო საჭირო მარქსისტობა, მეცნიერული სოციალიზმის აღიარება, საკმაო იყო მხოლოდ საღი გონების მოგარჯვება, მომხდარ ამბებში ობიექტიურათ გარკვევა. მაგრამ ხანგრძლივი ომით განაწამები, განადგურების კარამდე მისული მასსა გაიტაცა ლამაზ, მომხიბვლელ ლოზუნგებმა და ამ გარემოებამ მიანიჭა გამარჯვება ამ ლოზუნგების მაღიარებელ ბალშევიკებს. სჩანს არ იყო საკმარისი წარსულის მწარე გაკვეთილები, საჭირო იყო ალბათ რუსეთი ისედაც დაავადებული, სავსებით დაფლეთილიყო, მოძმეთა შორის ბრძოლაში დაღვრილ სისხლის ნაკადულები ცრემლთა გუბეებს შეერთებოდა, საჭირო იყო ალბათ საკუთარ კულტურის, საკუთარ ქონების საკუთარ ხელით განადგურება და დაუძლურებული, სისხლისაგან დაცლილი რუსეთის გარეშე მტრის წინაშე დანარცხება — რომ მასსა გამორკვეულიყო და დაენახა თუ საით მიყავდა იგი ჩვენი დროის უტოპისტებს. და ეს გამოფხიზლება დღეს უკვე დაიწყო. მუშათა კლასი, მშრომელი მასსა თანდათან შორდება ბალშევიკებს. ეს ნათლათ დაგვანახვა იმ ცვლილებამ, რომელიც მოხდა პეტროგრადისა და სხვა ცენტრების მუშებში დამფუძნებელ კრების გარეკისა და მშვიდობიან მანიფესტანტების დახვრეტის შემდეგ. ამ პროცესს, თქმა არ უნდა, უფრო დააჩქარებს ბალშევიკების მიერ სამარცხვინო ზავის ჩამოგდება. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. მაგრამ მე-XIX-ე საუკუნის უტოპისტებს თუ დიდი ზიანი არ მოუტანიათ მუშათა კლასისათვის, რომელიც მაშინ არც კი იყო ჩამოყალიბებული, სამაგიეროთ ეს არ შეიძლება ითქვას ჩვენი დროის უტოპისტებზე, მათ საშინელ ავანტიურაში ჩაითრიეს მუშათა კლასი. მშრომელ მასსას სწამდა მათი დაპირება, მშრომელი მასსა მოელოდა ხსნას, ვინაიდან მას პირდებოდენ სოციალიზმის განხორციელებას. და ბალშევიკების დამარცხებასთან ერთად შესაძლებელია ამ მასსის თვალში გაკოტრდეს კიდეც თვით სოციალიზმის იდეა. ჩვენი დროის უტოპისტების მოქმედებამ მუშათა კლასი ფიზიკურ განადგურებანდე მიიყვანა. ეს ცოტაა. შესაძლებელია მასსა სავსებით ჩამოშორდეს სოციალიზმს. ამის ნიშნები უკვე სჩანს. ეს გარემოება დიდ მოვალეობას აკისრებს ჩვენს პარტიას. მან უნდა ეცადოს გამოიჩინოს იმდენი უნარი და ტაქტი, რომ ბალშევიკებზე ჩამოშორებული მასსა არ გადაბარგდეს რეაქციონერების ბანაკში, რომ ისინი კვლავ დაუბრუნოთ რევოლიუციას და დავრაზმოთ სოციალიზმის დროშის ქვეშ. იმდენათ უფრო შესაძლებელი გახდება ეს, რამდენათ უფრო ადრე დაამარცხებს ცხოვრება ჩვენი დროის უტოპისტებს.

ვ. ნიკურაძე.

კოოპერაცია და ქართველი ს.-ფედერალისტები.

VI.

საწარმოო კოოპერატივთა ბედი: (მათი გადაგვარება; მოკლე ისტორიული მიმოხილვა).

წინა წერილში ჩვენ განვიხილეთ ის მთავარი დაბრკოლებანი, რომელნიც წინ ეღობებიან საწარმოო კოოპერატივთა ზრდა განვითარებას. ახლა დაუშვათ, რომ რომელიმე კოოპერატივმა ყველა ზემოაღნიშნული დაბრკოლებანი გადალახა. ვთქვათ, მას უკვე დიდძალი თანხა აქვს და კონკურენციისაც ეგრე რიგათ აღარ ეშინიან.

რა მოხდება მაშინ?

კოოპერატიულ ქარხნისათვის საჭიროა წარმოების გაფართოება: ამისათვის საჭიროა ახალი მუშები; მერე რა პირობებში უნდა მიიღოს ისინი კოოპერატივმა?..

თანასწორ ამხანაგებათ მიღებას ხელს უშლის შემდეგი ორი გარემოება: 1) ხშირათ ხდება, რომ ახალი მუშები თავის გონებრივ განვითარებით, ან ზნეობრივათ ვერ დგანან ძველების სიმაღლეზე; ასეთების თანასწორ ამხანაგებათ მიღება წარმოების დაცემას გამოიწვევს. 2) სწორ უფლებიან ამხანაგათ რომ მიიღონ, ახალმა მუშამ უნდა შეიტანოს ამხანაგობაში განსაზღვრული თანხა. ძველ მუშებს ქარხანა ფული უღირთ და ცარიელ-ტარიელ კაცს თავის ნაშრომს არ გაუზიარებენ. ასეთი თანხა კი პროლეტარს ძვირათ თუ მოეპოვება, ყველა ამას შედეგათ ის მოჰყვება, რომ ამხანაგობა იძულებული ხდება უღალატოს შრომის პრინციპს და მუშები დაიქირაოს. აქ წარმოება ჰკარგავს კოოპერატიულ ხასიათს და კოოპერატივი ნელ-ნელა იქცევა აქციონერულ საზოგადოებათ. ამხანაგობის მუშათა მთელი რიცხვი იყოფა ორ ნაწილათ: დამქირავებელ და დაქირავებულ მუშებათ. უკანასკნელთა ზედმეტი ღირებულება სრულიად გადადის კოოპერატივის წევრ-მუშების ხელში, ე. ი. უკანასკნელნი ითვისებენ დაქირავებულ მუშათა ზედმეტ ღირებულებას, ანუ მათ ყველეფენ.

საწარმოვო კოოპერატივის წევრი მუშები, რომელთაც ამხანაგობა დაარსეს, კაპიტალისტური ყვლეფის მოსასპობათ და სოციალიზმისაკენ გზის გასაკაფათ, ნელ-ნელა თვითონვე იყღინთებიან კაპიტალისტური პსიხოლოგიით და ბოლოს პატარა კაპიტალისტთა როლში გვევლინებიან.

ახლა მათთვის სოციალიზმი საჭირო აღარაა! მათი მსოფლ-მხედველობა უკვე გოტენტოტურია! ცუდი იყო კაპიტალისტი, როდესაც მათ ყველეფდა; ახლა კი ყვლეფა მათთვის ბუნებრივია, ვინაიდან **მყვლეფელთა** როლში ეხლა თვით ისინი გვევლინებიან.

„დღემდე არსებულ ყველა საწარმოო კოოპერატივებს, ამბობს **ტუგან-ბარანოვსკი**, დროთა ვითარებაში მუდამ უხდებოდათ ან აეღოთ ხელი განვითარებაზე, ან გამოთხოვებოდენ შრომის პრინციპებს. და მართლაც, განაგრძობს ავტორი, ორმოციან წლებში დაარსებული ზოგიერთი ამხანაგობანი ნელ-ნელა გადაიქცნენ უზარ-მაზარ ქარხნებათ, რომელნიც ატრიალებდენ მილიონებს და აბანდებდენ ასობით მუშებს, **მაგრამ ვაი, რომ მუშებს დაქირავებულთ**!

კოოპერატივი გადაიქცა კაპიტალისტურ სამრეწველო დაწესებულებათ! (ხაზი ჩემია). *).

ამავე აზრს უფრო ხაზგასმით იმეორებენ **ოპენგეიმერი** და პროფ. **ვიგოდზინსკი**. **).

საწარმოო კოოპერატივთა ისტორია მჭერმეტყველებით და საუკეთესოთ ამტკიცებს ამ შეხედულებას!

დავიწყოთ საფრანგეთიდან, ამ საწარმოო კოოპერატივთა ე. წ. სამშობლოდან. საწარმოო კოოპერატივებს ჩვენ აქ ვხვდებით ჯერ კიდევ გასულ საუკუნის დასაწყისში. ნამდვილი ოქროს ხანა მათ ცხოვრებაში დაიწყო 1848 წლიდან, როცა მთავრობამ გადასდო მათთვის სამი მილიონი ფრანკი, რის მეოხებითაც მათმა რიცხვმა 300-მდე მიაღწია. მაგრამ სამი წლის შემდეგ (1851 წ.) არსებობას მხოლოდ 15 მათგანი განაგრძობდა. ***).

სამოციან წლებში მოძრაობა კვლავ გამოცოცხლდა; ჯერ კიდევ 1868 წელს მათი რიცხვი მარტო პარიზში ავიდა 60-მდე. ****). ჩვენი საუკუნის დასაწყისში მათი რიცხვი 250-ს აღემატებოდა. დღეს საფრანგეთში ითვლება 100-მდე საწარმოო კოოპერატივი.

მიუხედავათ ამ შედარებით საკმაო დიდი რიცხვისა, ისინი ბეწვსაც ვერ უხრიან კაპიტალისტებს. აი რას ამბობს მათ შესახებ **ტუგან-ბარანოვსკი**:

„1) ძლიერ **მცირე ნაწილი** მათი წარმოადგენს **წმინდა ტიპის** ამხანაგობას; (ხაზი ჩემია ს. მ.).

„2) უმეტეს შემთხვევაში ესენია პატარა დაწესებულებანი წევრთა ძლიერ მცირე რიცხვით და თითქმის უმნიშვნელო თანხით;

„3) უმეტეს შემთხვევაში ისინი არსებობენ **მხოლოდ მთავრობის აქტიური დახმარებით**, რომელიც შეუკვეთს მათ საქონელს და აძლევს დახმარებას ფულით; ან **კერძო პირთა შემოწირულების წყალობით**, რომელნიც თანაუგრძნობენ სა-

---

*) Туганъ-Барановскій, Основы политической экономіи გვ. 217.

**) Проф. Вигодзинскій, Кооперація въ Германіи გვ. 190.

***) Сочиненія А. Михайлова, ტ. VI, გვ. 281.

****) ibid., გვ. 288.

წარმოო კოოპერატივებს". *).

ყველა აქედან აშკარათ სჩანს საწარმოო კოოპერატივთა უბადრუკი მდგომარეობა საფრანგეთში. აგერ ასი წელი სრულდება მათი დაარსების დღიდან და მათ დღესაც არ შეუძლიათ უმოწყალებოთ არსებობა; ისინი დღესაც ოჩოფეხებით დადიან!

ინგლისში საწარმოო კოოპერატივები არსებობდენ ჯერ კიდევ 18 საუკ. მიწურულში. გასულ საუკუნის ორმოცდაათიან წლებში მათი რიცხვი იმდენათ გაზრდილი იყო, რომ მარტო ლონდონში (1850 წ.) ითვლებოდა 20-ზე მეტი საწარმოო კოოპერატივი. ახლა კი რასა ვხედავთ ჩვენ ინგლისში? იქ დღეს არსებობს მხოლოდ **ერთათ ერთი** საწარმოო კოოპერატივი. ქალაქდის ქარხანა **ნელსონში** (ლანკაშერში). დაარსებულია იგი 1888 წელს; ამუშავებს 116 მუშას და აქვს 4.355 გირვანქა სტერლინგათ ღირებული ქონება. **) ეს არის და ეს! აი ამ საბრალო ქარხანამ უნდა იხსნას მთელი ინგლისი (უტოპისტთა აზრით) კაპიტალიზმისაგან!

უარეს მდგომარეობაშია ამ მხრივ **გერმანია.** საწარმოო კოოპერატივებს ჩვენ აქ ვხვდებით ჯერ კიდევ XIX საუკ. დასაწყისში. ორმოცდაათიან წლებში მოძრაობა ღრმათ იდგამს ფესვებს. მას საფალავში უდგება **ფ. ლასალი.** ამ დროს მთავრობაც ეთმობს საწარმოო კოოპერატივებს რამოდენიმე ათას მარკას, რის მეოხებითაც მათმა რიცხვმა ასობით იმატა. მაგრამ 1859 წ. მათგან განაგრძობდენ არსებობას მხოლოდ ექვსი... ***) და ამათ რიცხვშიც ნახევარში არ იყო დაცული შრომის პრინციპები. 1869 წელს საწარმოო კოოპერატივთა რიცხვმა **შულცე-დელიჩის** მოწმობით გერმანიაში მიაღწია 167-მდე. ****) სამწუხაროთ არაა აღნიშნული თუ რამდენი იყო მათში წმინდა ტიპისა. 1893 წელს მათგან განაგრძობდა არსებობას 109 კოოპერატივი; ამ დროს ამათგან მხოლოდ სამში იყო დაცული შრომის პრინციპები: დანარჩენი 106 უკვე გადაქცეულიყვნენ აქციონერულ საზოგადოებებათ. ბევრ ათგანში დაქირავებულ მუშებს შეტაკებაც უხდებათ კოოპერატივის პატრონ მუშებთან—ეკონომიურ ნიადაგზე. ასეთი იყო მაგ., კოოპერატიულ ტამბის მუშათა დიდი გაფიცვა 1891 წელს—ბრელავში. ს. **პროკოპოვიჩის** მოწმობით 1906 წ. ერმანიაში არსებობდა 230 საწარმოო კოოპერატივი. დღეს კი იქ **ტუგან ბარანოვსკის** მოწმობით

*) Туганъ-Барановскій, Соціальныя основы кооперации, გვ. 234.

**) ibid გვ. 232.

***) Сочиненія А. Михайлова, т. VI, გვ. 377.

****) ibid., გვ. 277—8.

„არ არის არც ერთი წმინდა შრომის ტიპის საწარმოო კოოპერატივი.". *) (ხაზი ჩემია. ს. მ.).

გერმანიაზე ძლიერ შორს ამ მხრივ არც ბელგია წასულა. საწარმოო კოოპერატივთა ისტორია აქაც გასულ საუკუნის პირველ ნახევრიდან იწყება. 50-იან წლებში მოძრაობა ძლიერ გამოცოცხლდა და მთელ ბელგიას მოედვა. მაგრამ საწარმოო კოოპერატივმა აქაც ისე, როგორც საფრანგეთ-ინგლის-გერმანიაში, ვერ მიაღწიეს თავიანთ მიზანს. აი როგორი მგლოვიარე კილოთი იხსენიებს მათ **ბერტრანი**: „.. მაგრამ ვაი, რომ უმეტესობა იმათგან (ლაპარაკია საწარმოო კოოპერატივებზე. ს. მ.) არც კი გაფურჩქვნილა; **ისინი წარმოშობის უმალვე ჭრებოდენ და თავიანთ უხანო არსებობის კვალსაც აღარ სტოვებდენო**" **) (ხაზი ჩემია, ს. მ.)

ბელგიის საწარმოო კოოპერატივებში მხოლოდ ერთს ხვდა წილათ დიდი ხნის არსებობა. ესაა მესტამბეთა კავშირი, 1849 წ. დაარსებული. 1900 წელს ამ კავშირს ჰქონდა აქტივი 40.000 ფრანკი. მაგრამ ის ამ დროს უკვე აღარ წარმოადგენდა წმინდა შრომის ტიპის საწარმოო კოოპერატივს. „... ამ მუშათა ასოციაციამ, სწერს მის შესახებ **ბერტრანი** (1900 წ.), თავის ნახევარ საუკუნის არსებობაში ჯერ კიდევ ვერ მიაღწია მნიშვნელოვან განვითარებას და ოდნავათაც ვერ განახორციელა თავის დამაარსებელთა ოცნებანი. **ის**, განაგრძობს **ბერტრანი, არას დროს არ ყოფილა წმინდა კოოპერატიული ამხანაგობა;** ის მუდამ იყო **კარჩაკეტილი** ასოციაცია". ***) (ხაზი ჩემია. ს. მ.).

რუსეთში საწარმოო ამხანაგობანი არსებობენ 1872 წლიდან. გასულ საუკუნის დამლევამდე მათი რიცხვი ასამდე ავიდა. ****) 1900 წლიდან მოძრაობა უფრო გამოცოცხლდა; აგი მთელ რუსეთს მოედვა. მაგალითად, 1909—10 წელს არსებობდა: ქ. პეტროგრადში—19 საწარმოო კოოპერატივი,—მოსკოვში 60-მდე, მოსკოვის გუბერნიაში—7, პერმის გუბ.—45, ხერსონის გუბ. და მის ახლო-ძახლო რაიონებში—143 და სხვ. ასე რომ, 1910 წლისათვის რუსეთში იყო 300-მდე საწარმოო კოოპერატივი. *****) დღეს კი რუსეთში, **ტუგან-ბარანოვსკის** მოწმობით, **„არის მხოლოდ ერთი საწარმოო კოოპერატივი წმინდა ტიპისა"** ******) (ხაზი

*) Туганъ-Барановскій, Соціальн. основы кооперации, გვ. 282—3.

**) Бертранъ, Исторія кооперации въ Бельгій გვ. 255.

***) ibid., გვ. 251.

****) იხ. Справочная книга для артелей, გვ. 100—1.

*****) ცნობანი ამოღებულია **ს. პროკოპოვიჩის** წიგნიდან, Кооперативное движеніе въ Россіи გვ. 88—107.

******) Туганъ Барановскій, Соц. основы кооперации, გვ. 232—5.

ჩემია. ს. მ.). დანარჩენებში კი—ზოგი გადაიქცა აქციონერულ საზოგადოებებათ, ზოგი კი ჩაბარდა ისტორიის არქივს. ეს ერთათ ერთი საწარმოო კოოპერატივი არის სოფ. **პავლოვოში**, ცნობილი დანების ქარხანა. დაარსებულია იგი 1890 წელს **ა. გ. შტანგეს** ინიციატივით. მას დღეს საქმე შედარებით კარგათ მიჰყავს. მაგრამ დახეთ ნაროდნიკთა უბედობას! ეს ერთათ ერთი საწარმოო კოოპერატივიც მთავრობისა და კერძო პირთა დახმარებით განაგრძობს არსებობას. მაგალითად, 1901 წელს მთავრობამ მას მისცა 55 ათასი მან. გძელვადიანი, უპროცენტო სესხი. კერძო პირებმა კი მას შესწირეს 50 ათასი მანეთი. იდეიურათ მას დიდ ხელმძღვანელობას უწევს **ა. გ. შტანგე**. თავის საკუთარი ძალით ამ საწარმოო კოოპერატივს, როგორც ამას მოწმობს **ს. პროკოპოვიჩი** და თვით **შტანგეც**, „... **არ შეუძლია არც საჭირო კაპიტალის შოვნა და არც ნაწარმოებთა გასაღება**“. (ხაზი აქაც ჩემია! ს. მ.).

ასეთია საწარმოო კოოპერატივთა საკმაოთ გძელი ისტორია სხვა და სხვა ქვეყნებში და მათი მწარე ხვედრი!

მათ უძლეველი დაბრკოლებანი ელობებიან წინ: სხვილ კაპიტალის კონკურენცია; კომერციული ცოდნა-უნარის უქონელობა; წევრთა ინტერესების შეთანხმების სიძნელე, რასაც მოსდევს ხშირათ ურთიერთ შორის იქვიანობა, უნდობლობა, ჩხუბი და აყალ-მაყალი.

და თუ ყველა ამას როგორმე გადაურჩა რომელიმე საწარმოო ამხანაგობა, იგი ისტორიულის აუცილებლობით ჰკარგავს კოოპერატიულ—ახეხასიათს, რაც გამოიხატება შრომის პრინციპების მივიწყებაში და ხდება აქციონერულ საზოგადოებათ.

ს. მიხელიძე.

წესდება.

ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციისა.

I.

ორგანიზაციის მიზანი და საშუალებანი.

§ 1. ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის მიზანია: ა) ყოველმხრივი შესწავლა მარქსიზმისა; ბ) მარქსიზმის იდეების გავრცელება ამიერ-კავკასიის ახალგაზრდათა შორის; გ) ამ ახალგაზრდების შეკავშირება; დ) წევრების პოლიტიკური აღზრდა.

§ 2. პირველ პარაგრაფში აღნიშნულ მიზნების მისაღწევათ ორგანიზაცია ა) აარსებს სამეცადინო წრეებს; ბ) იმუშავებს ამ წრეების სახელაძღვანელო პროგრამას; გ) სისტემატიურათ აწყობს ლექციებისა და რეფერატების კითხვას; დ) სცემს ერთს ან რამდენიმე ბეჭდვითი ორგანოს (იხ. § 31); ვ) აარსებს ბიბლიოთეკებს; ე) დამოკიდებულებაშია რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ორგანიზაციებთან.

II.

ორგანიზაციის შემადგენლობა.

§ 1. ორგანიზაციაში წევრათ ჩაწერა შეუძლია ყველა პროფესიის ახალგაზრდას 15—25 წლამდე.

შენიშვნა 1. ახალი წევრი მიიღება ორგანიზაციის სამი წევრის თავდებობით.

2. წევრათ მიიღება 15 წელზე უმცროსიც, მაგრამ ამისთვის საჭიროა ადგილობრივი კომიტეტის ნებართვა.

§ 4. ორგანიზაციის წევრათ ითვლება ის, ვინც რეგულიარულათ იხდის საწევრო გადასახადს და იღებს მონაწილეობას ორგანიზაციის მუშაობაში.

შენიშვნა 1. ორგანიზაციის წევრი, რომელიც სამი თვის განმავლობაში საწევრო გადასახადს არ შეიტანს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს გამოწვეულია საპატიო მიზეზით, ორგანიზაციიდან გარიცხულათ ითვლება.

2. წევრები, რომლებიც დაარღვევენ დისციპლინას, წესდებას ან თავისი მოქმედებით ჩირქს მოსცხებენ ორგანიზაციის ღირსებას, გამოირიცხებიან ორგანიზაციიდან საერთო კრების დადგენილებით.

III.

ორგანიზაციის ნივთიერი საშუალებანი.

§ 5) ორგანიზაციის ნივთიერი საშუალება შესდგება ა) ორგანიზაციის მიერ გამართულ წარმოდგენების, ლექციების და სხვ. შემოსავლიდან.

§ 6) საწევრო გადასახადი ა) ქალაქებში 1) ერთდროული—1 მ.; 2) თვიური—50 კ. ბ) სოფლებში 1) ერთდროული—50 კ. 2) თვიური—25 კ.

IV.

ორგანიზაციის გამგებლობა.

§ 7) ორგანიზაციის საქმეებს განაგებს ა) საერთო კონფერენცია; ბ) ცენტრალური კომიტეტი; გ) ადგილობრივი კომიტეტი; დ) საერთო კრება; ვ) რაიონული კოლექტივი.

ა) საერთო კონფერენცია.

§ 8) საერთო და ყველა ორგანიზაციებისათვის საყურადღებო კითხვებს არჩევს საერთო კონფერენცია.

§ 9) კონფერენცია იკრიბება ყოველ წლობით, წლის დასაწყისში.

შენიშვნა 1. განსაკუთრებულ შემთხვევებში ცენტრალურ კომიტეტს და საკანტროლო კომისიას (იხ. § 29) აქვს უფლება მოიწვიოს საგანგებო კონფერენცია.

2. თუ რომელიმე ორგანიზაციამ აღძრა

საკითხი კონფერენციის მოწვევის შესახებ, ცენტრალური კომიტეტი უნდა შეეკითხოს ყველა ორგანიზაციებს და შეასრულოს უმრავლესობის სურვილი.

§ 10. კონფერენციის მუშაობის საგანია ა) ცენტრალურ კომიტეტის მოხსენება; ბ) მოხსენებები ადგილებიდან; გ) ცენტრალურ კომიტეტის და საკანტროლო კომისიის წევრთა არჩევა და სხვ.

§ 11. კონფერენცია კანონიერათ ითვლება, როცა წარმოდგენილია არა ნაკლებ ორ მესამედ ორგანიზაციებისა.

ბ) ცენტრალური კომიტეტი.

§ 12. კონფერენცია ირჩევს ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც მოქმედობს შემდეგ მორიგ კონფერენციის მოწვევამდე.

შენიშვნა ცენტრალურ კომიტეტის ხელ-ახალი არჩევნები შეიძლება მოხდეს საგანგებო კონფერენციაზედაც, თუ ამას მოითხოვს ერთი მესამედი დელეგატებისა.

§ 13. ცენტრალური კომიტეტი განაგებს ყველა ორგანიზაციების საერთო საქმეებს.

§ 14. ცენტრალური კომიტეტი იწვევს საერთო კონფერენციას, როგორც მორიგს ისე საგანგებოს.

§ 15. ცენტრალური კომიტეტი სცემს ბეჭდვითი ორგანოს და ნიშნავს სარედაქციო კოლეგიას.

§ 16. ცენტრალური კომიტეტი ირჩევს თავის შემადგენლობიდან სარევიზიო კომისიას, რომელმაც კონტროლი უნდა გაუკეთოს ადგილობრივ ორგანიზაციებს.

§ 17. ცენტრალური კომიტეტი აცნობებს ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს მიმდინარე საყურადღებო კითხვების შესახებ თავის დადგენილებებს.

§ 18. ცენტრალური კომიტეტის ქვორუმი უნდა შესდგებოდეს იმ ორგანიზაციის წევრთაგან, სადაც თვით ცენტრალური კომიტეტი მოქმედობს.

§ 19. ადგილობრივი ორგანიზაციები ცენტრალურ კომიტეტის სასარგებლოთ სამ თვეში ერთხელ იხდიან თავის შემოსავლის 25%.

გ) ადგილობრივი კომიტეტი.

§ 20. ადგილობრივ ხასიათის საქმეებს განაგებს ადგილობრივი კომიტეტი, რომელსაც ნახევარი წლით ირჩევს ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება.

შენიშვნა. ადგილობრივ კომიტეტის ხელ-ახალი არჩევნები შეიძლება მოხდეს ნახევარი წლის გასვლამდეც, თუ ამას მოითხოვს წევრთა 20%.

§ 21. ადგილობრივ კომიტეტის დანიშნულებაა: ა) მეორე პარაგრაფში აღნიშნულ წრეების მოწყობა და მათი ხელმძღვანელების დანიშვნა; ბ) ლექციების და რეფერატების მოწყობა; გ) ბიბლიოთეკის მოწყობა; დ) ადგილობრივ ს.-დ. ორგანიზაციებთან კავშირის დაჭერა; ვ) ადგილობრივ და საერთო საყურადღებო ამბებზე გამოხმაურება; ზ) საერთო კრების მოწვევა;

შენიშვნა. საერთო კრება უნდა იქნას მოწვეული აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ამას წევრთა საერთო რიცხვის 10% მოითხოვს.

§ 22. კომიტეტის სხდომა კანონიერათ ითვლება, თუ მას დაესწრო არა ნაკლებ წევრთა საერთო რიცხვის ნახევრისა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაინიშნება მეორე სხდომა, რომელიც კანონიერათ ჩაითვლება, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

დ) საერთო კრება.

§ 23. ადგილობრივ ორგანიზაციის საერთო კრება განიხილავს ორგანიზაციის ყველა საყურადღებო კითხვებს და ირჩევს დელეგატებს საერთო კონფერენციაზე დასასწრებლათ.

§ 24. საერთო კრება ირჩევს ადგილობრივ კომიტეტს და სარევიზიო კომისიას, რომელიც ავტონომიურათ მოქმედობს.

§ 25. საერთო კრების პრეზიდიუმს ირჩევს თვით კრება თავის შემადგენლობიდან.

§ 26. საერთო კრება კანონიერათ ითვლება, თუ მას დაესწრება არა ნაკლებ წევრთა საერთო რიცხვის ერთი მესამედისა.

შენიშვნა. ხელმეორეთ დანიშნული საერთო კრება კანონიერია, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

ვ) რაიონული კოლექტივი და ორგანიზაცია.

§ 27. საჭიროების მიხედვით ადგილობრივი ორგანიზაცია იყოფა რაიონულ ორგანიზაციებათ.

§ 28. რაიონული ორგანიზაციები ირჩევენ რაიონულ კოლექტივებს.

შენიშვნა. ამ შემთხვევაში ადგილობრივი კომიტეტი შესდგება რაიონულ ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან.

V.

საკანტროლო კომისია.

§ 29. კონფერენცია აირჩევს საკანტროლო კომისიას, რომელიც თვალყურს ადევნებს ცენტრალურ კომიტეტის მუშაობას.

§ 30. საკანტროლო კომისიას აქვს უფლება მოიწვიოს საერთო კონფერენცია.

VI.

ცენტრალური ბეჭდვითი ორგანო.

§ 31. ორგანიზაციას აქვს ცენტრალურ ბეჭდვითი ორგანო. (ერთი ან რამოდენიმე სხვა და სხვა ენაზე— შეძლებისა და საჭიროების მიხედვით).

შენიშვნა. რამდენი ან რომელ ენაზე გამოიცეს ბეჭდვითი ორგანო, ამ საკითხს ყოველ ცალკე შემთხვევაში სწყვეტს საერთო კონფერენცია.

ა 984/33/2
1918

ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის პირველი კონფერენცია.

(მოხსენებები ადგილებიდან).

1. ქუთაისის ორგანიზაცია.

ქუთაისის მარქსისტ მოწაფეთა ორგანიზაციას საფუძველი რეაქციის დროს ჩაეყარა. 1912 წელს ორგანიზაციაში ირიცხებოდა მოწაფეები 5 საშვალო სასწავლებლებისა; მათი რიცხვი პირველ ხანებში 90 იყო; ამ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა 9 კაცისაგან შემდგარი კოლექტივი, რომელმაც გამოიმუშავა წესდება, სამაცადინო გეგმა და დაარსა სამკითხველო. ორგანიზაციას ჰქონდა აგრეთვე გექტოგრაფზე ნაბეჭდი ჟურნალი „ჩვენი მიზანი“,—იგი თითქმის სისტემატიურათ გამოდიოდა კარგა ხნის განმავლობაში.

1916 წელს ქუთათურ ამხანაგების ინიციატივით ქუთაისში მოწვეულ იქნა მარქსისტ მოწაფეთა პირველი კონფერენცია, სადაც საფუძველი ჩაეყარა ამიერ-კავკასიის მარქსისტ-მოწაფეთა კავშირს.

მეტად ცუდ პირობებში გვიხდებოდა მუშაობა, მაგრამ ორგანიზაციის წევრთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. ორგანიზაცია იმ თავითვე არაფრაქციული იყო. რევოლიუციის შემდეგ კი, წევრთა რიცხვი შესამჩნევათ გაიზარდა და 1918 წლის რეგისტრაციით ორგანიზაციაში ირიცხება 700 წევრი. არსებობს წრეები, რომელსაც ხელმძღვანელობენ ჩვენი ამხანაგები და სტუდენტები. ამას გარდა დრო-გამოშვებით იკითხება მოხსენებები სხვა და სხვა საყურადღებო კითხვებზე. ფინანსიურის მხრით ორგანიზაცია უნუგეშო მდგომარეობაშია. ამ ჟამათ ორგანიზაციას აქვს 600 მანეთამდე. საწევრო გადასახადი: ერთდროული 75 კაპ. და თვიური 25 კაპ.

აქამდის ქუთაისის ორგანიზაცია სხვა და სხვა განსაკუთრებულ მიზეზების გამო მხოლოდ მოწაფეებისაგან შესდგებოდა; სტუდენტები და ახალგაზრდა მუშები ჩვენს ორგანიზაციაში არ მუშაობდენ; მაგრამ ამას იქით ვეცდებით ეს ნაკლი გამოსწორებულ იქნას და სტუდენტობა, მუშები და მოწაფეები ერთ მთლიან მჭიდრო კავშირს შეჰქმნიან.

მომხსენებელი **ს. ტაბიძე.**

---

2. ხაშურის ორგანიზაცია.

ხაშურში 1914 წლიდან არსებობს მარქსისტ მოწაფეთა ორგანიზაცია. წინეთ წევრები ცოტა იყო, მაგრამ შემდეგ ზემოხსენებულმა ორგანიზაციამ თავის მოქმედება გადიტანა სხვა სასწავლებლებშიც. მაგალითად, ადგილობრივ ქალთა გიმნაზიის და ჭრა-კერვის სასწავლებლების მოწაფეებიდან დაარსებულ იქნა „იაჩეიკები“, სადაც მეცადინეობა სისტემატიურათ სწარმოებდა. უფროს მოწინავე ამხანაგთა წრეში გადიოდენ შემდეგ წიგნებს: „ერფურტის პროგრამა“ კ. კაუცკისა. „მოკლე კურსი პოლ. ეკონ.“ ა. ბოგდანოვისა, „ისტორიული მატერიალიზმი“ და სხვ.), აგრეთვე ვიწვევდით ამხ. ნ—რე იმ—ლს, რომელიც გვიკითხავდა ლექციებს „ისტორიულ მატერიალიზმზე“, „დიალექტიკაზე“, „ნაც. საკითხზე“ და სხვა).

1916 წლის დამლევს სასწავლებლის ადმინისტრაციის მიერ შემჩნეულ იქნა წრეების არსებობა, რასაც მოყვა მუშაობის შეჩერება. რევოლიუციის პირველ დღეებშივე მუშაობა კვლავ გაჩაღდა, ნორმალურ კალაპოტში ჩადგა; წევრთა რიცხვი 200-მდე ავიდა.

ზაფხულში მუშაობა შეჩერდა, რადგან ორგანიზაციის წევრები—მოწაფეები წავიდ-წამოვიდენ, დარჩენილი ამხანაგები კი ისმენდენ პროპაგანდისტთა კურსებზე ლექციებს.

სამოსწავლო წლის დაწყებისას მუშაობა განახლდა და მარქსისტ მოწაფეთა ორგანიზაციაში შემოვიდენ წევრებათ მუშები, ნოქრები, ჯარის-კაცები და სხვა პროფესიის ახალგაზრდები, რისთვისაც მას (ორგანიზაციას) დაერქვა, შინაარსის მიხედვით, ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია. რ. ს.-დ. მ. პ. ხაშურის ორგანიზაციის კომიტეტის დახმარებით ჩვენმა ორგანიზაციამ დაიქირავა ბინა, მოაწყო თავისი კლუბი (ახალგაზრდა მარქსისტთა კლუბი), ბიბლიოთეკა და სხვა. შემუშავებულ იქნა წესდება, სამაცადინო გეგმა, რომლის მიხედვით სწარმოებს სწავლა—მუშაობა კვირაში ორჯერ. აგრეთვე შედგენილ იქნა მოწინავე ამხანაგებისგან რეფერენტთა ჯგუფი, რომელიც ყოველ კვირა დღეს აწყობდა რეფერატ—მოხსენების კითხვას, იწვევდა მოწინააღმდეგეებს და მართავდა კამათს. ორგანიზაციის მუშაობა-მაცადინეობას ხელმძღვანელობს იგივე რეფერენტთა ჯგუფი. რიცხვი ორგანიზაციაში ჩაწერილ წევრთა ასზე მეტია. საწევრო გადასახადია: ერთდროული—1 მანეთი, თვიური—40 კაპ., აგრეთვე გამართულ იქნა წარმოდგენები, ორგანიზაციის მატერიალურ საშუალებათა გასაძლიერებლათ. ამ ჟამათ ორგანიზაციას აქვს 200 მანეთამდე. რეაქციის დროს გამოდიოდა ხელთნაწერი ჟურნალი.

ფოთში და ოზურგეთში ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის მიერ გაზეთის გამოცემას ჩვენი ორგანიზაცია უარყოფით შეხვდა, რადგან ასეთი კუთხური გამოცემანი ხელს შეუშლიან ცენტრალურ ორგანოს გამოცემას, რომლის გამოცემა და არსებობა აუცილებელია და მეტ სარგებლობას მოუტანს ახალგაზრდობას. ამიტომ ხაშურის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციამ დაადგინა დაიხუროს ფოთის და ოზურგეთის ორგანოები, სანამ უზრუნველყოფილი არ იქნება ცენტრალური ორგანოს არსებობა და მისი საგამომცემლო ფონდი არ გაძლიერდება. ცენტრალურ ორგანოს გამოცემას აღფრთოვანებით შეხვდენ ადგილობრივი ამხანაგები, გროვდება ფული და აგრეთვე გადაწყვეტილია გაიმართოს წარმოდგენები; შემოსავალი გაიგზავნება „ახალი კვალი“-ს ფონდის გასაძლიერებლათ.

ხაშურის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციაში ბოლშევიკები არ მოიპოვებიან და ის (ორგანიზაცია) მენშევიკ-ინტერნაციონალისტურ ხაზს ადგია. საერთოდ, მიუხედავათ მრავალ დაბრკოლებათა, მუშაობა სასურველათ მიდის.

მომხსენებელი **გ. მგელაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი:
სარედაქციო კოლეგია.

სტამბა **ბართლომე კილაძისა**, ველიამინოვის ქუჩა, № 3.